უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 23 0000274221

09/03/2023

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (ს/კ: 229275405) ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 09 მარტის №273667 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებისგასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა